ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სტაჟირების კომისიის სხდომის
ოქმი №1

2020 წელი 28 მაისი ქალაქი ქუთაისი

სხდომას ესწრებოდა სტაჟირების კომისიის (შემდგეში ,,კომისიის') თავმჯდომარე გიორგი ზარნაძე, ,,კომისიის" თავმჯდომარის მოადგილე - არჩილ გლუნჩაძე და ,,კომისიის" წევრი - ნათია ლოლაძე.

,,კომისიას" მდივნობდა - ნინო გუმბერიძე.

სხდომა დაიწყო 15:00 საათზე.

დღის წესრიგი:

1. **ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სტაჟიორთა კონკურსის თემატიკის დამტკიცება;**
2. **სტაჟიორთა კონკურსის პირობების დამტკიცება:**

2.1. სტაჟიორთა კონკურსის ზოგადი დებულებების განსაზღვრა;
2.2. სტაჟიორთა კონკურსის გამოცხადების წესის განსაზღვრა;
2.3. სტაჟიორთა კონკურსის შეტყობინების შინაარსის განსაზღვრა;
2.4. სტაჟიორთა კონკურსის ეტაპების დეტალური განსაზღვრა;
2.5. სტაჟიორობის კანდიდატის შეფასების წესის განსაზღვრა;
2.6. სტაჟირების კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და გამოცხადების წესის განსაზღვრა;

3. **აცილების წესის განსაზღვრა;**
4. **სტაჟიორთა კონკურსთან დაკავშირებით სხვა საორგანიზაციო საკითხების დამტკიცება;**
5. **სტაჟიორთა კონკურსში მონაწილე სტაჟიორობის კანდიდატების სარეგისტრაციო ბარათისა და შეფასების ფორმების დამტკიცება.**

1. ,,კომისიამ", მოისმინა რა არჩილ გლუნჩაძის მოხსენება, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მისაღები სტაჟიორებისათვის საკონკურსო თემატიკის განსაზღვრის თაობაზე, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა:
დამტკიცდეს სტაჟიორთა კონკურსისათვის (შემდგომში ,,კონკურსი") შემდეგი საკონკურსო თემატიკა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი ,,საერთო სასამართლოების შესახებ"- III და X თავები და IX თავის 56-ე და 58-ე მუხლები;

გ) ,,საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილი №200 დადგენილება.

2. ,,კომისიამ", მოისმინა რა არჩილ გლუნჩაძის მოხსენება ,,კონკურსის" პირობების დამტკიცების შესახებ, კერძოდ: ,,კონკურსის" ზოგადი დებულებების განსაზღვრა; ,,კონკურსის" გამოცხადების წესის განსაზღვრა; ,,კონკურსის" შეტყობინების შინაარსის განსაზღვრა; ,,კონკურსის" ეტაპების დეტალური განსაზღვრა; ,,კომისიის" მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისა და გამოცხადების წესის განსაზღვრა.

ერთხმად გადაწყვიტა:

დამტკიცდეს ,,კონკურსის" ჩატარების შემდეგი პირობები:

2.1. ზოგადი დებულებანი:

2.1.1. ,,კონკურსის" ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ გადაწყვეტილებით, რეგულირდება ,,საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 18 სექტემბრის N1/251 გადაწყვეტილებით.

2.1.2. ,,კომისიის" სხდომას იწვევს და მის დღის წესრიგს განსაზღვრავს ,,კომისია", ან - ,,კომისიის" თავმჯდომარე, რის შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.kutaisiappeal.gov.ge), ,,კომისიის" სხდომამდე არაუგვიანეს 7 დღისა.

2.2. ,,კონკურსის" გამოცხადება:

2.2.1. ,,კონკურსი" უნდა გამოცხადდეს სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს (შემდგომში - ,,ბიურო") მიერ ადმინისტრირებული ვებგ-ვერდის (www.hr.gov.ge), აგრეთვე - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდის (www.kutaisiappeal.gov.ge) მეშვეობით.

2.3 შეტყობინების შინაარსი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სტაჟიორთა მისაღები ,,კონკურსის" გამოცხადების შესახებ შეტყობინებაში მითითებულ იქნეს შემდეგი მონაცემები:

საჯარო დაწესებულების დასახელება-ქუთაისის სააპელაციო სასამართლო;

პოზიციის დასახელება - ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სტაჟიორი;

კატეგორია-სტაჟირება;

თანამდებობრივი სარგო- ანაზღაურების გარეშე;

ადგილების რაოდენობა-3;

სამსახურის ადგილმდებარეობა-ქუთაისი, ნოუპორტის ქ. N32;

კატეგორია- იურიდიული;

სამუშაოს ტიპი-სრული განაკვეთი;

განცხადების ბოლო ვადა - გამოქვეყნებიდან 10 კალენდარული დღე;

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სტაჟიორის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) მინიმალური განათლება-ბაკალავრი ან დამამთავრებელი ან დამამთავრებლის წინა კურსის სტუდენტი;

ბ) მიმართულება-სამართალი; პროფესია -იურისტი;

გ) გუნდური მუშაობა;

დ) დეტალებზე ორიენტირება;

ე) კომუნიკაცია მოქალაქეებეთან;

ვ) ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის უნარი;

ზ) დროის ეფექტიანი მართვის უნარი.

ფუნქციები:

-სასამართლო სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადებაში მონაწილეობის მიღება; სასამართლო აქტებისა და საქმეებთან დაკავშირებული დოკუმენტების პროექტების მომზადება;

-სამართლებრივი ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის მასალების მოძიება;

-სასამართლო სხდომებზე დასწრება;

-საქმესთან დაკავშირებული ტექნიკური დავალებების შესრულება;

-სატელეფონო ზარებზე პასუხის გაცემა და გადამისამართება;

-სასამართლო აქტივობებში მონაწილეობის მიღება;

-ღონისძიებების დაგეგმა და ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება;

-უფლებამოსილების ფარგლებში ხელმძღვანელთა მითითებების შესრულება

საკონტაქტო ინფორმაცია:

,,კომისიის" მისამართი ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქ. N32

საკონტაქტო პირი: ნათია ლოლაძე

ტელ: +995 431 25 61 17 (224)

დამატებითი ინფორმაცია:

,,კონკურსში" მონაწილეობისათვის, კანდიდატი განაცხადს წარადგენს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, ,,ბიუროს" მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით. კანდიდატი უფლებამოსილია განაცხადში ცვლილება შეიტანოს განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

კანდიდატმა აუცილებლად ელექტრონულად უნდა ატვირთოს უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი ან ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან, რომელიც დაადასტურებს, რომ იგი არის იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი ან დამამთავრებლის წინა კურსის სტუდენტი.

ატვირთულ უნდა იქნეს ქართულ ენაზე შედგენილი დოკუმენტაცია. უცხოენოვანი საბუთების შემთხვევაში, აუცილებელია აიტვირთოს მათი ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანებიც.

საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში, სავალდებულოა აიტვირთოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარების თაობაზე.

,,კონკურსის" შემდეგ ეტაპზე გადავა ის კანდიდატი, რომელიც განცხადების გადარჩევის შემდეგ დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შეთხვევაში იგი ,,კონკურსის" შემდეგ ეტაპზე აღარ დაიშვება.

კანდიდატთან დაკავშირება მოხდება მის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

,,კონკურსის" მეორე ეტაპის წარმატებით გავლის შემთხვევაში კონკურსანტმა ასევე უნდა წარმოადგინოს სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა და ცნობა ნასამართლობის არქონის შესახებ.

კანდიდატი ვალდებულია საჯარო დაწესებულებას მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები საკონკურსო მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

სასამართლოში სტაჟირების ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 6 თვით. სტაჟირების ვადა შესაძლებელია სტაჟიორის განცხადებისა და მისი უშუალო ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე გაგრძელდეს არაუმეტეს 6 თვით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე - http://www.kutaisiappeal.court.gov.ge/ გამოქვეყნებულია ,,საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთო სასამართლოებში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 18 სექტემბრის N1/251 გადაწყვეტილება და ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სტაჟირების კომისიის 2020 წლის 28 მაისის სხდომის ოქმი N1 , სადაც სრულად არის ასახული ინფორმაცია ,,კონკურსის" ჩატარების წესის შესახებ.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა:

,,კომისიის" სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ,,კომისიის" წევრთა ნახევარზე მეტი.

,,კომისია" ხმათა უბრალო უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის სტაჟიორად დასანიშნად წარდგენის თაობაზე. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია ,,კომისიის" თავმჯდომარის ხმა

,,კონკურსის" ეტაპები

განცხადების გადარჩევა

გასაუბრება (გასაუბრება და ზეპირი დავალებების მიცემა)

2.4 .,,კონკურსის" ეტაპების დეტალური პირობები:

2.4.1. ,,კონკურსის" პირველი ეტაპი განცხადებების გადარჩევა:

2.4.1.1. ,,კომისიის" სახელით, ნათია ლოლაძე ახორციელებს შემდეგ მოქმედებებს:

ა) საკონკურსო განაცხადების ატვირთვის ვადის ამოწურვიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, ამოწმებს ატვირთული განაცხადების და თანდართული დოკუმენტების შესაბამისობას გამოცხადებული ვაკანსიისათვის დადგენილ მოთხოვნებთან. თუ აღმოჩენილ იქნება რაიმე ხარვეზი, კანდიდატს განუსაზღვრავს ვადას 3 კალენდარული დღის ოდენობით, დამატებითი დოკუმენტის ასატვირთად. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება. თუ კანდიდატი ამ ვადაში არ აღმოფხვრის ხარვეზს, იგი ,,კონკურსის" შემდეგ ეტაპზე აღარ დაიშვება;

ბ) საკონკურსო განაცხადების ატვირთვის ვადის ამოწურვიდან 7 კალენდარული დღის ვადაში ,,კომისიას" წარუდგენს ამ პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტში განსაზღვრული

შემოწმების საბოლოო შედეგებს, რის შემდეგაც 3 სამუშაო დღის ვადაში კანდიდატს ელექტრონულად უგზავნის:

შეტყობინებას მის მიერ წარდგენილი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ; კანდიდატის მოთხოვნის შემთხვევაში, მას გაეგზავნება დასაბუთებული შეტყობინება;

ან შეტყობინებას ,,კონკურსის" მეორე ეტაპზე გადასვლის თაობაზე.

2.4.1.2. კანდიდატს უფლება აქვს ზემოთ მითითებული შეტყობინების მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი განცხადებით მიმართოს ,,ბიუროს" განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების მოთხოვნით. ,,ბიურო" ვალდებულია - კანდიდატის მიმართვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და შედეგები დაუყოვნებლივ აცნობოს ,,კომისიასა" და კანდიდატს.

2.4.2. ,,კონკურსის" მეორე ეტაპი გასაუბრება და ზეპირის დავალების მიცემა:

,,კონკურსის" მეორე ეტაპზე ხდება კანდიდატის შეფასება საუკეთესო ცოდნის, გამოცდილებისა და შედეგების მიხედვით. ისისნი შეფასდებიან ზეპირი დავალებების მიცემისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით;

2.4.2.1. გასაუბრება გულისხმობს:

ა) კანდიდატისათვის შეკითხვების დასმას და მათზე პასუხების მოსმენას, რათა შემოწმდეს კანდიდატის ზოგადი უნარ-ჩვევები და ინტელექტი.

ბ) გასაუბრების ოთახში კანდიდატები შედიან სათითაოდ; მათ ეკრძალებათ ნორმატიული აქტების, მათი კომენტარების ან სხვა ანალოგიური მასალის, მობილური ტელეფონის, აუდიო ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

გ) ,,კომისიის" გადაწყვეტილებით შესაძლებელია გასაუბრების მიმდინარეობის ფიქსაცია აუდიო-ჩანაწერების განხორციელებით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კანდიდატი განაცხადებს თანხმობას.

2.4.2.2. ზეპირი დავალების მიცემის წესი:

ა) ზეპირი დავალების მიცემა გულისხმობს კანდიდატისათვის შეკითხვების დასმას და მათზე პასუხების მოსმენას, რათა შემოწმდეს კანდიდატის თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

ბ) ზეპირი დავალების მიცემა იწყება გასაუბრების დასრულებისთანავე, იმავე ოთახში და ჩატარდება ზემოთ, 2.4.2.1. -ბ) და გ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესით.

2.5.სტაჟიორობის კანდიდატის შეფასების წესი:

2.5.1. კანდიდატი, გასაუბრების შედეგად, შეფასდება ,,კომისიის" თითოეული წევრის მიერ, ცალ-ცალკე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) კანდიდატის ზოგადი უნარ-ჩვევები, მათ შორის - სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი;

ბ) კანდიდატის ინტელექტი.

2.5.2. კანდიდატი, ზეპირი დავალების შესრულების დონის მიხედვით, შეფასდება ,,კომისიის" თითოეული წევრის მიერ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) თეორიული ცოდნა;

ბ) თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

გ) აზრის ლაკონურად და ნათლად გადმოცემის უნარი;

2.5.3. კანდიდატთა შეფასების პრინციპი:

ყველა კანდიდატის თანაბარ მდგომარეობაში ჩასაყენებლად, ,,კომისიის" წევრები მათ უსვამენ (ამოსახსნელად გადასცემენ) თანაბარი სირთულის და შეძლებისდაგვარად ერთგვაროვან შეკითხვებს (,,კაზუსებს").

2.6 ,,კომისიის" მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და გამოცხადება:

2.6.1 თითოეული კანდიდატის მიმართ არსებულ შეფასების ფურცლებში ასახული შეფასებების გათვალისწინებით, ნათია ლოლაძე გამოიანგარიშებს საშუალო არითმეტიკულს, რაც წარმოადგენს კანდიდატის საბოლოო შეფასების ქულას.

2.6.2. ,,კონკურსში" გამარჯვებულ, საუკეთესო კანდიდატად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომლის საბოლოო შეფასების ქულა ყველაზე მაღალი აღმოჩნდება.

2.6.3. თუ ორი ან რამდენიმე კანდიდატის საბოლოო შეფასების ქულები აღმოჩნდება იდენტური, ,,კომისია" მათ შორის საუკეთესო კანდიდატს გამოავლენს კენჭისყრის გზით. თუ კენჭისყრის შედეგად კანდიდატებმა მიიღეს თანაბარი ხმები, გადამწყვეტი იქნება ,,კომისიის" თავმჯდომარის ხმა.

2.6.4. ,,კომისია" სტაჟიორად დასანიშნად წარადგენს საუკეთესო კანდიდატს (კანდიდატებს) ან დასაბუთებულ უარს აცხადებს კანდიდატის (კანდიდატების) წარდგენაზე. აღნიშნული საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს საკონკურსო განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

2.6.5. ,,კომისია" შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად აცნობებს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

2.6.6. ,,კომისია" ,,კონკურსის" შედეგების შესახებ ინფორმაციას ასახავს ,,ბიუროს" მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის შესაბამის მოდულში.

3. ,,კომისიამ", მოისმინა რა ნათია ლოლაძის მოხსენება, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ,,კონკურსის" ჩატარებისას აცილების საკითხების თაობაზე და კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა:

დამტკიცდეს ,,აცილების" საკითხები:

აცილების საკითხები:

3.1. ,,კომისიის" წევრი ვალდებულია - ,,კონკურსის" ეტაპების დაწყებამდე განაცხადოს თვითაცილება, თუ არსებობს გარემოება, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს კანდიდატის ობიექტურად შეფასებაში. შესაბამისად, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას სხვა კანდიდატების შეფასებასა და მათ მიმართ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3.2. თუ ამგვარი თვითაცილება არ იქნა განცხადებული და მითითებული გარემოების შესახებ ,,კონკურსის" მიმდინარეობისას გახდება ცნობილი, ,,კომისიის" ამ წევრის მიერ განხორციელებული შეფასებები არ იქნება გათვალისწინებული კანდიდატებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

4. ,,კომისიამ", მოისმინა რა გიორგი ზარნაძის მოხსენება ,,კონკურსის" საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა:

დამტკიცდეს ,,კონკურსთან" დაკავშირებით შემდეგი საორგანიზაციო საკითხები:

4.1. ნათია ლოლაძემ ამ გადაწყვეტილების მიხედვით უზრუნველყოს ,,ბიუროს" მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით ,,კონკურსის გამოცხადება".

4.2. ნათია ლოლაძემ უზრუნველყოს წინამდებარე ოქმის გამოქვეყნება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე -http://www.kutaisiappeal.court.gov.ge/

5. ,,კომისიამ, მოისმინა რა გიორგი ზარნაძის მოხსენება კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტა:

დამტკიცდეს ,,კონკურსში" მონაწილე სტაჟიორობის კანდიდატების სარეგისტრაციო ბარათისა და შეფასების შემდეგი ფორმები:

ფორმა №1: სტაჟიორების კანდიდატთა სარეგისტრაციო ბარათი

ფორმა №2. გასაუბრების შეფასების ფურცელი

ფორმა №3: ზეპირი დავალების შეფასების ფურცელი

ფორმა №1: სტაჟიორების კანდიდატთა სარეგისტრაციო ბარათი

სტაჟიორების კანდიდატთა სარეგისტრაციო ბარათი
თარიღი:

	სტაჟიორობის კანდიდატის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	გამოცხადებული სტაჟიორობის კანდიდატის ხელმოწერა

ფორმა №2. გასაუბრების შეფასების ფურცელი:

სტაჟიორობის კანდიდატის მიერ გასაუბრების გავლის
შეფასების ფურცელი

სტაჟირების კომისიის თავმჯდომარე/ მოადგილე/ წევრი:
ხელმოწერა:
თარიღი:

სტაჟიორობის კანდიდატის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	ზოგადი უნარ-ჩვევების (მათ შორის - სტრესულ გარემოში მუშაობის უნარის) შეფასება (0-დან 10 ქულამდე)	ინტელექტის შეფასება (0-დან10 ქულამდე)

ფორმა №3: ზეპირი დავალების შეფასების ფურცელი:

სტაჟიორობის კანდიდატის მიერ ზეპირი დავალების შესრულების შეფასების ფურცელი:

სტაჟირების კომისიის თავმჯდომარე/ მოადგილე/ წევრი:
ხელმოწერა:
თარიღი:

სტაჟიორობის კანდიდატის სახელი, გვარი და პირადი ნომერი	თეორიული ცოდნის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)	თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)	აზრის ლაკონურად და ნათლად გადმოცემის უნარის შეფასება (0-დან 10 ქულამდე)

სხდომა დამთავრდა 17 საათზე.

გიორგი ზარნაძე /კომისიის თავმჯდომარე/

არჩილ გლუნჩაძე /კომისიის თავმჯდომარის მოადგილე/

ნათია ლოლაძე /კომისიის წევრი/

ნინო გუმბერიძე / სხდომის მდივანი/